

დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან

საკითხავი მასალა მშობლებისთვის

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პროექტს ანხორციელებს საქართველოს
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

პროექტის პარტნიორი
Defence for Children International NL



დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან

საკითხავი მასალა მშობლებისთვის

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

PHF
პროექტს ანხორციელებს საქართველოს
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

DEFENCE for CHILDREN
პროექტის პარტნიორი
Defence for Children International NL

პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „უსაფრთხო სკოლა, უსაფრთხო ბავშვობა“ ფარგლებში.

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ და მასში წარმოდგენილი მასალა არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. პასუხისმგებლობა პუბლიკაციის შინაარსზე ეკისრება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდს.

Copyright © 2015, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი
პუბლიკაციიდან ამონარიდების გამოყენება და გავრცელება ნებადართულია წყაროზე მითითებით.

მომზადებულია: ქეთევან (ეკატერინე) თავართქილაძე, ფსიქოლოგი,
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი.

დიზაინი: გიორგი დოლიძე, მხატვარი-დიზაინერი

წინასიტყვაობა

ძვირფასო მშობლებო, აღმზრდელებო! თქვენ თქვენს შვილს მხოლოდ საუკეთესოს უსურვებთ. თქვენ იგი გიყვართ და მასაც უყვარხართ, ზრუნავთ მის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე და გსურთ, რომ მას ბედნიერი და უსაფრთხო ბავშვობა და მომავალი ჰქონდეს.

ბავშვი ყველაფერს გრძნობს და განიცდის. მას დაბადებიდანვე აქვს საკუთარი სურვილები და უფლებები. ჩვენ ის თავისუფალ, ღირსეულ ადამიანად უნდა ავღზარდოთ, რომელიც პატივს სცემს სხვის უფლებებს და თავისუფლებებს. უანგარო სიყვარული, სითბო და ურთიერთდაფასება საფუძველს უყრის ჯანსაღ, ჰარმონიულ, სრულფასოვან ურთიერთობას მშობელსა და შვილს შორის, აძლევს შვილს უსაფრთხოების და მხარდაჭერის განცდას.

ბავშვის გარშემო - ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში, - უამრავი ადამიანია, ვისაც ის უყვარს, ვინც მას ასწავლის, მასზე ზრუნავს და მხოლოდ საუკეთესოს უსურვებს; მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ბავშვი დამაბნეველ, არცთუ უსაფრთხო გარემოში აღმოჩნდება. ამიტომ, სანამ მოზრდილი ადამიანი გახდება, თქვენ მას სირთულეებთან გამკლავება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და საფრთხის თავიდან აცილება უნდა ასწავლოთ. ბავშვმა უნდა იცოდეს და სჯეროდეს, რომ ის მარტო არ არის, რომ თქვენ მის გვერდით ხართ და ყოველთვის დაეხმარებით სირთულეების დაძლევასა და პრობლემათა მოგვარებაში.

ბავშვი ცხოვრების დიდ ნაწილს სკოლაში ატარებს. იგი სკოლაში განათლებას იღებს. სკოლა მის აღზრდასა და უსაფრთხოებაზეც ზრუნავს. ბავშვს სკოლაში თანაკლასელები და მეგობრები ჰყავს. თანატოლებთან ურთიერთობა ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმაც და მასწავლებლებმაც ხელი შეუწყონ ბავშვში ისეთი თვისებების განვითარებას, როგორიცაა მეგობრობა, თანაგრძნობა, მხარდაჭერა, პრობლემების არაძალადობრივი გზით გადაჭრა, ერთმანეთზე ზრუნვა და სხვა. ეს ხელს შეუწყობს მას, რომ ჰყავდეს მეგობრები, ჰქონდეს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, ხოლო სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მისთვის სასიამოვნო და მხოლოდ სიხარულის მომტანი იყოს.

პუბლიკაცია „დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან - საკითხავი მასალა მშობლებისთვის“ მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, რომელიც 15 წელზე მეტია, საქართველოში ძალადობისგან ბავშვთა დაცვის საკითხებზე მუშაობს. პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „უსაფრთხო სკოლა, უსაფრთხო ბავშვობა“ ფარგლებში, რომლის ზოგადი მიზანია საქართველოში მიმდინარე ბავშვთა დაცვის და კეთილდღეობის რეფორმის მხარდაჭერა. პროექტის ამოცანაა, საფუძველი ჩაუყაროს სკოლაში ბავშვის უსაფრთხოების და ძალადობისგან დაცვის საკითხების სწავლებას.

წინამდებარე პუბლიკაცია პროექტის ფარგლებში შექმნილი სხვა პუბლიკაციების ნაწილს წარმოადგენს და მათთან ერთობლიობაში ბავშვს ძალადობის საკითხების გაცნობიერებაში, პრობლემების არაძალადობრივი გზებით მოგვარების უნარების შეძენაში, საფრთხეების გაცნობიერებასა და ძალადობის თავიდან აცილებაში ეხმარება. ეს პუბლიკაციებია:

1. მოსწავლის წიგნი „ვსწავლობ, ვფიქრობ, ვმოქმედებ - ბავშვთა დაცვის და უსაფრთხოების გაკვეთილები“. მოსწავლის წიგნი ტექსტების და სავარჯიშოების კრებულია, რომელიც გამოიყენება როგორც საკლასო სამუშაოებისთვის, ასევე კლასგარეშე, თქვენთან ერთად კითხვისა და მსჯელობისთვის.

2. მასწავლებლის სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობით მასწავლებელი ეფექტურად წარმართავს ბავშვთა დაცვის და უსაფრთხოების გაკვეთილებს.

„დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან - საკითხავი მასალა მშობლებისთვის“ დაგეხმარებათ ისწავლოთ, თუ როგორ უნდა ასწავლოთ შვილებს გარშემომყოფებთან ურთიერთობა, სხვადასხვა გარემოში მართებულად მოქმედება და წარმოქმნილი სირთულეების დაძლევა; გაგიმარტივებთ შვილთან საუბრებს ისეთ ფაქიზ და რთულ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვზე ძალადობა და ძალადობის თავიდან აცილება. ვიმედოვნებთ, რომ შეგიმსუბუქებთ ბავშვის აღზრდის პროცესში არსებულ სირთულეებს და დაგიცავთ უნებლიედ დაშვებული შეცდომებისგან.

გახსოვდეთ, რომ მზრუნველ და კეთილგანწყობილ გარემოში გაზრდილი ბავშვი ბედნიერი, ჯანმრთელი და წარმატებულია როგორც ბავშვობაში, ისე ზრდასრულ ასაკში.

ლია სარალიძე,
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი



რა და რატომ უნდა ვიცოდეთ ბავშვზე ძალადობის შესახებ?

ცოტა რამ ისტორიიდან

პირველი სახელმწიფოების განვითარების უძველეს პერიოდში ბავშვის უფლებების მიმართ ფუნდამენტური პოზიცია იყო მოზრდილის (უმეტესად მამის) სრული ძალაუფლება პრაქტიკულად ნებისმიერი ასაკის შვილზე.

მაგალითად, რომის სახელმწიფოში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I საუკუნეებიდან, დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვით 235 წლამდე, აბსოლუტური იყო მხოლოდ მამის ძალაუფლება თავის შვილებზე, და არა ორივე მშობლის. მხოლოდ მამას შეეძლო განეკარგა შვილის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. მას ჰქონდა უფლება, გადაეწყვიტა, შეენარჩუნებინა თუ არა სიცოცხლე ახალშობილი შვილისთვის. მამას უფლება ჰქონდა, მონად გაეყიდა ან სულაც გადაეგდი თავისი შვილი.

ძველი ბაბილონის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ძალიან მკაცრ სასჯელს „ურჩი შვილებისთვის“: „უკეთუ შვილმა მამას გაარტყა, ხელის მტევანი უნდა მოაჭრან”. ასევე, თუ შვილობილი ეტყოდა თავის მამას ან დედას, რომლებმაც ის გაზარდეს - „შენ არ ხარ ჩემი მამა“, „შენ არ ხარ ჩემი დედა“, - მას ენას მოაჭრიდნენ.

თუმცა, უძველესი დროიდანვე დაიწყო გარკვეული კატეგორიის ბავშვების განსაკუთრებული მოწყვლადობის გაცნობიერება და ბავშვებზე ძალადობის მიმართ შეუწყნარებლობის სახელმწიფო პოზიციის ჩამოყალიბება. მაგალითად, რომის იმპერიის შექმნის პერიოდში, მამის სრული ძალაუფლება შვილებზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა. IV საუკუნეში, იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით, მამას წაერთვა „შვილის სიცოცხლის და სიკვდილის უფლება“. ასევე აიკრძალა შვილის გადაგდების უფლება, გარდა თანდაყოლილი სიმახინჯეებით დაბადებული ბავშვებისა. შვილის მოკვლისთვის დადგინდა სასჯელის ზომა - სიკვდილით დასჯა. ამავე დროს გამოიცა კანონი, რომლის თანახმად სახელმწიფოს შეეძლო გაეთავისუფლებინა ვაჟი მამის ძალაუფლებისგან (patria potestas). ამდენად, ბავშვის პიროვნებაზე მამის გავლენამ ამ პერიოდისთვის თითქმის მთელი პატრიარქალური სიმძაფრე დაკარგა.

ძვ. წელთაღრიცხვის XVIII საუკუნეში, ბაბილონის მეფე ხამურაბიმ – „სიბრძნის მეცნიერმა” და „სამართლის მეფემ” - შექმნა კანონები, რომლებიც 1 500 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდნენ მთელი იმპერიის ტერიტორიაზე, ამ კანონების მიხედვით, ქონებასა და სიმდიდრეზე მაღლა იდგა ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ბავშვები. ადამიანის სიცოცხლე არასრულფასოვნად ითვლებოდა, თუ მას რამდენიმე შვილი არ ჰყავდა. მკაცრად ისჯებოდა ბავშვების მოტაცება და გაცვლა: „თუ ერთი მეორის ვაჟს მოიპარავს, მას მოკლავენ და დამარხავენ რიტუალის გარეშე“.

კანონების შექმნა ძალადობისგან ბავშვთა დასაცავად, დაკავშირებულია ბავშვთა მიმართ ძალადობის ფართოდ გავრცელებასთან და ძალადობის მძიმე შედეგებთან. თუმცა, ეს სამართლებრივი აქტები შეეხებოდა ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის ან ბავშვთა ძირითადი საჭიროებების უგულებელყოფის ცალკეულ გავრცელებულ ფორმებს. მაგალითად, XIII საუკუნის პირველ ნახევარში, ინგლისის მეფის მიერ გამოცემული ვინჩესტერის სტატუსის მიხედვით, ქალებს ეკრძალებოდათ ერთ საწოლში წოლა ჩვილ ბავშვებთან. აკრძალვის დარღვევა ისჯებოდა დიდი ოდენობის ფულადი ჯარიმით. ამ ნორმის გაჩენა დაკავშირებული იყო ინგლისში მრავალი ჩვილი ბავშვის გარდაცვალებასთან, რომლებიც ძილში შემთხვევით გაგუდეს მათმა დედებმა.

1874 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა შვილად აყვანილი გოგონას, მერი ელენის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შემთხვევის გამჟღავნებას. მშობლები, რომლებმაც მერი ელენი შვილად აიყვანეს, სასტიკად სცემდნენ მას, საწოლზე აბამდნენ, აშიმშილებდნენ. ნიუ იორკის პოლიციამ ვერაფრით შეძლო გოგონას დახმარება, რადგან არ არსებობდა კანონი ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ. სამაგიეროდ, არსებობდა კანონი შინაურ ცხოველთა დაცვის შესახებ. ამდენად, გოგონას დახმარება და მოძალადე მშობლებისგან მისი დაცვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვის უფლებები გაუთანაბრეს ცხოველთა უფლებებს. ამ შემთხვევის გავლენით, სწორედ ცხოველთა დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელმა, ჰენრი ბერგმა დაარსა აშშ-ში ძალადობისგან ბავშვთა დაცვის პირველი საზოგადოება 1875 წელს.

უფრო მოგვიანებით, დიდ ბრიტანეთში შეიქმნა ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ნაციონალური საზოგადოება (NSPCC). დღეს ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი რაოდენობის სპეციალიზებული ცენტრები გააჩნია და ის ისეთივე დიდ როლს ასრულებს ბავშვებზე ძალადობის გამოვლენის და მათთვის დახმარების გაწევის მხრივ, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურები.

მართალია, ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის საკითხი ასწლეულების მანძილზე საზოგადოების შეშფოთებას და წუხილს იწვევდა, მაგრამ ამ პრობლემას ფართო გამოხმაურება არ ჰქონია. მნიშვნელოვანი პოზიტიური გარდატეხა ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაში მოახდინა პედიატრმა ჰენრი კემპემ (Henry Kempe). მან, 1961 წელს, ამერიკის პედიატრიის აკადემიის ყოველწლიურ სხდომაზე წარმოადგინა ფუნდამენტური კვლევის შედეგები, რომელშიც პირველად იყო ნახსენები ტერმინი „ნაცემი ბავშვის სინდრომი“ (The Battered-Child Syndrome). ამ ტერმინით კემპე აღწერდა და განსაზღვრავდა ბავშვებში ეგრეთ წოდებული აუხსნელი დაზიანებების ბუნებას.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ დროიდან, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, ბავშვებთან მომუშავე მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა აღიარეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენი (Child Abuse and Neglect-fenomen, CAN-fenomen), როგორც სპეციალური პრობლემა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების, მშობლებისა და მთელი საზოგადოების ძალისხმევათა გაერ-

თიანება. თუმცა, დასამალი არაა, რომ ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულფასოვანი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ბავშვთა ეფექტურ დაცვას ძალადობის ყველა ფორმისგან. ძალადობის შეჩერებას და მსხვერპლთა დახმარებისთვის საჭირო ადეკვატური ზომების მიღებას განსაკუთრებით უშლის ხელს ბავშვზე ძალადობის, როგორც გავრცელებული სოციალური მოვლენის აღიარებისგან თავის არიდება.

ბავშვზე ძალადობის პრობლემის შესახებ

თანამედროვე სამყაროს ვერაფრით ვუწოდებთ უსაფრთხოს. მსოფლიო სტატისტიკა შეშფოთებას იწვევს: ბავშვებზე ძალადობის შემთხვევებმა იმატა; მასმედიით სულ უფრო ხშირად შუქდება ბავშვების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები. ბავშვებზე ძალადობა სერიოზული პრობლემაა როგორც განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც შიმშილი, ომები, ნორმალური საცხოვრებლის თუ ჯანდაცვის არარსებობა თვალშისაცემია, ასევე - განვითარებული სახელმწიფოებისთვისაც.

საქართველოში ბავშვზე ძალადობის პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში დამალული იყო. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დახმარება, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სამედიცინო (სამკურნალო) დახმარებით შემოიფარგლებოდა. უკანასკნელ წლებში, საზოგადოება აქტიურად ალაპარაკდა ამ პრობლემის შესახებ. დღეს დასამალი აღარაა, რომ ბავშვების დიდი რაოდენობა ძალადობას განიცდის, ამასთან, ხშირად სწორედ იმ ადამიანებისგან, რომლებმაც ისინი უნდა დაიცვან.

ბავშვზე ძალადობის პრობლემა ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბავშვების უსაფრთხო და ჯანსაღი ზრდა-განვითარება.

ბავშვის უფლებათა კონვენცია

„სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვები მშობლების, კანონიერი მეურვეებისა და ბავშვზე მზრუნველი სხვა პირის მხრიდან ნებისმიერი სახის ძალადობისა და უხეში მოქცევისგან". (ბავშვის უფლებათა კონვენცია – მუხლი№19)

ბავშვზე ძალადობა მისი უფლებების სერიოზული დარღვევაა. კანონი ბავშვს განსაკუთრებული დაცვით უზრუნველყოფს, რადგან ბავშვს, მისი ასაკიდან გამომდინარე, არ შეუძლია სხვადასხვა სიტუაციის, ქმედებათა შედეგების ადეკვატური და სრული შეფასება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ბავშვის უფლებათა კონვენცია მთავრობებს ავალდებულებს ძალადობისა და უგულებელყოფისგან ყველა ბავშვის დაცვას და მათი უსაფრთხო აღზრდისთვის აუცილებელი პირობების შექმნას.

საქართველომ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება 1994 წელს მოახდინა, რითაც სახელმწიფომ ვალდებულება აიღო, რომ დაიცავდა ბავშვთა უფლებებს და ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის სათანადო გარემოს შექმნიდა.

ბავშვთა მიმართ ძალადობის შემაშფოთებელი დონისა და სიხშირის გამო ბავშვის

უფლებათა კომიტეტმა (მომავალში: კომიტეტი) გამოსცა ბავშვის უფლებათა კონვენციის (მომავალში: კონვენცია) მე-19 მუხლთან დაკავშირებით მომზადებული ზოგადი კომენტარი. აუცილებელია ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ზომების გაძლიერება და გაფართოება, რათა ეფექტურად აღმოიფხვრას ისეთი შემთხვევე-ბი, რომლებიც საფრთხეს უქმნის ბავშვის განვითარებას და სიცოცხლეს. გენე- რალური კომენტარი დაფუძნებულია შემდეგ ფუნდამენტურ მოსაზრებებზე:

- ბავშთა მიმართ ნებისმიერი ფორმის ძალადობა გაუმართლებელია; ბავ-შვთა მიმართ ნებისმიერი ძალადობის პრევენცია შესაძლებელია;

- ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული დაცვა და მზრუნველობა მოითხოვს ბავშვის, როგორც უფლებამოსილი პირის, ადამიანური ღირსების და ფიზი-კური და ფსიქიკური ხელუხლებლობის ხაზგასმას და არა მათ „მსხვერ-პლად“ დანახვას;

- ღირსების ცნება მოითხოვს, რომ ყველა ბავშვი იყოს აღიარებული, პა-ტივცემული და დაცული როგორც უფლებამოსილი, უნიკალური და ძვირფასი ადამიანი, თავისი ინდივიდუალური ხასიათით, განსხვავებული მოთხოვნილებებით, ინტერესებით და პირადი სივრცით;

- სამართლიანობის პრინციპები თანაბრად უნდა ეხებოდეს ბავშვებს და უფროსებს;

- ბავშვის უფლებაა, თავისუფლად გამოხატოს თავისი შეხედულებები, რომელიც გათვალისწინებული იქნას ყველა დონის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბავშვის გაძლიერება და მონაწილეობა ბავშვზე ზრუნ-ვის და ბავშვის დაცვის სტრატეგიების და პროგრამების მთავარი პრიორ-იტეტი უნდა გახდეს;

- პატივი ეცეს ბავშვის უფლებას, გათვალისწინებული იყოს მისი საუკეთე-სო ინტერესები იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც მის კეთილდღეო-ბას ეხება, განსაკუთრებით, ძალადობის შემთხვევაში და პრევენციის სხვა ზომების მიღებისას;

- კომიტეტი ხაზს უსვამს ოჯახის, მათ შორის ნათესავების, ცენტრალურ როლს ბავშვზე ზრუნვის, ბავშვის დაცვის და ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით. ამასთანავე კომიტეტი აღიარებს, რომ ძალადობის შემ-თხვევების უმეტესობა ოჯახის ფარგლებში ხდება; შესაბამისად, ინტერვენ-ცია და დახმარება აუცილებელია, როდესაც ბავშვი ოჯახში განხორციელე-ბული ძალადობის, ან ოჯახში წარმოქმნილი სიძნელეების და პრობლემების მსხვერპლი ხდება.

რა არის ბავშვზე ძალადობა

მოკლედ შეიძლება ვთქვათ, რომ ძალადობა ბავშვისთვის მატრავმირებელი ქცევაა. ძალადობას ყოველთვის თან ახლავს პირადი ღირსების შეურაცხყოფა. ის შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი საკუთრების ხელყოფით, საჯარო შეურაცხყოფით, ან სექსუალური ექსპლუატაციით.

ჩვეულებრივი ყოფითი საწყენი რეპლიკები და კრიტიკული შენიშვნები სხვა არაფერია, თუ არა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რადგანაც ეს უცილობლად აისახება ვისიმე ემოციურ ან ფიზიკურ მდგომარეობაზე. ცუდი გუნება-განწყობილება ან დაგროვილი გაღიზიანება არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს მსგავს გამოვლინებებს.

ბავშვის მიმართ ძალადობრივი ქცევის მხოლოდ ერთი მიზეზი არ არსებობს. ამას გარდა აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვების მიმართ ძალადობა ოჯახის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე, რასაზე, ეროვნებაზე ან რელიგიაზე დამოკიდებული არაა.

ძალადობა – რა არის ეს?

ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

ბავშვის მიმართ ძალადობრივი ქცევა შეიძლება იყოს ერთჯერადი აქტი, როგორიცაა მაგალითად, ბავშვის ცემა ტირილის შეწყვეტის ან დამორჩილების მიზნით; და ასევე ბავშვთან ურთიერთობის, ქცევის მუდმივი ფორმა, როგორიცაა, მაგალითად, სექსუალური გამოყენება, ზრუნვის არარსებობა, ემოციური ზეწოლა.

ბავშვზე ძალადობის ფორმები

ფიზიკური ძალადობა – ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას: დარტყმა, ხელის კვრა, სილის გაწვნა, წამოთაქება, ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, თუნდაც „აღმზრდელობითი“ მიზნით;

ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა – ქცევები, რომელთა მიზანია აკონტროლოს, მართოს ბავშვის მოქმედებები და ემოციები მისი დამორჩილების მიზნით: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა, მუქარა, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც მას არ ჩაუდენია და სხვა. ბავშვზე ძალადობაა მოზრდილთა ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით. ემოციური ძალადობა შეიძლება ვლინდებოდეს ცალკე ან

შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემადგენელ ნაწილს;

სექსუალური ძალადობა – ბავშვის გამოყენება სექსუალური მიზნებისათვის: სექსუალური მეტყველებით დევნა, ეროტიული ელფერის ალერსი, თვალთვალი, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვა ან ხელშეწყობა, გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ღია საუბრები სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევა (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულება და სხვა.

უგულებელყოფა – ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

ვინ შეიძლება იყოს მოძალადე

ბავშვები ძალადობას განიცდიან სხვადასხვა პიროვნებებისაგან, ხშირად მოძალადე მშობელია. მცდარია წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს მოძალადე ადამიანები არანორმალურნი ან დანარჩენებისაგან განსხვავებულნი არიან. ხშირად გარემომცველებს არ სურთ იმის დაჯერება, რომ „გარეგნულად ასეთი წესიერი" ადამიანი შეიძლება სასტიკად ეპყრობოდეს ოჯახის წევრებს; მაგრამ ეს მართლაც ასეა - ხშირად მშობლები, რომლებიც რეგულარულად სცემენ თავიანთ შვილს, გარეშეებთან ურთიერთობაში სასიამოვნონი არიან და სხვათაგან არაფრით გამოირჩევიან. მათ ერთი სერიოზული პრობლემა აერთიანებთ - თავიანთი რისხვის კონტროლის უუნარობა.

ვინ შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი

ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, მაგრამ, არსებობს ბავშვების კატეგორია, რომლებიც სასტიკი მოპყრობის „რისკ-ჯგუფს" შეადგენენ. მრავალრიცხოვან გამოკვლევათა თანახმად, რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები, რომელთა დედებიც სისტემატიურად განიცდიან ძალადობას, შვილად აყვანილი, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ან „არასასურველი ბავშვები". ჰიპერაქტიური, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ასევე მიეკუთვნებიან ამ ჯგუფს, რადგან ხშირად აიძულებენ თავიანთ მშობლებს მათი აღზრდის სიძნელეებით გამოწვეული იმედგაცრუებები და სტრესები განიცადონ.

თვითონ ბავშვები იშვიათად ყვებიან გადატანილი ძალადობის შესახებ. ხშირად მათ არც კი იციან და არც ესმით, რომ მოზრდილები არ უნდა იქცეოდნენ ასე. ბავშვები თავს დამნაშავედ თვლიან, ისინი დაშინებულები არიან, მათ რცხვენიათ, არ იციან, ვის და როგორი სიტყვებით შეუძლიათ უამბონ, ეშინიათ, რომ არავინ დაუჯერებთ.

რა ზიანი მოაქვს ბავშვზე ძალადობას

ძალადობა ყოველთვის სერიოზულ ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას!

ბავშვზე ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, მაგრამ ძალადობა ყოველთვის სერიოზულ ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას, განვითარებასა და სოციალიზაციას, ზოგჯერ კი საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს. ძალადობის მყისიერ შედეგებს მიეკუთვნება:

- ფიზიკური დაზიანებები - მოტეხილობა, ჭრილობა, დამწვრობა, სისხლჩაქცევები, ტვინის შერყევა და სხვა.

- მწვავე ფსიქოლოგიური პრობლემები - ჭარბი აგრესია, შიშები, დეპრესიული მდგომარეობა, საკუთარი უმწეობის და არასრულფასოვნების განცდა და სხვა.

- არსებობს მტკიცებულებები, რომ უფროსებში გამოვლენილი მრავალი დაავადება - გულის იშემიური დაავადებები, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების ქრონიკული დაავადებები, სიმსივნე და სხვა - ბავშვობაში გადატანილ ძალადობასთანაა დაკავშირებული.

ბავშვებს, რომლებიც ძალადობას განიცდიან, ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების დარღვევები აღენიშნებათ.

დადგენილია, რომ ძალადობის ან ტრავმის ზემოქმედება გავლენას ახდენს განვითარების პროცესში მყოფ ბავშვის ტვინზე. იმ ბავშვების თავის ტვინი, რომლებიც ხშირად განიცდიან სტრესს, ფიზიკური, სექსუალური ძალადობის ან ხანგრძლივი უგულებელყოფის სახით, მთელ თავიანთ რესურსებს გარემოში არსებული საფრთხის დაძლევასა და გადარჩენაზე ხარჯავენ.

ბავშვები, რომლებიც ძალდობას განიცდიან, ხშირად ჩამორჩებიან თანატოლებს სიმაღლით, წონით ან ორივე მაჩვენებლით ერთდროულად. ისინი უფრო გვიან იწყებენ სიარულს, ლაპარაკს, იშვიათად იცინიან, ცუდად სწავლობენ. ასეთ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), მეტყველების პრობლემები, მავნე ჩვევები (თითების წოვა, ფრჩხილების კვნეტა და სხვა).


ძალადობაგანცდილი ბავშვი მუდმივი სტრესის მდგომარეობაში იმყოფება, და თუ

დახმარების გარეშე დავტოვებთ, უკვე მოზრდილ ცხოვრებაში ეს მასში სერიოზულ პიროვნულ გადახრებს, შეუქცევად ფსიქოლოგიურ პრობლემებს გამოიწვევს.

ბავშვზე ძალადობის სოციალური და ეკონომიკური შედეგები

ბავშვზე ძალადობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს, როგორც ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე, ასევე ოჯახებსა და საზოგადოებაზე. ძალადობაგადატანილ ბავშვებს დარღვეული აქვთ კავშირი უფროსებთან, არ აქვთ თანატოლებთან ურთიერთობის უნარი, მწირი ცოდნისა და საჭირო უნარების ნაკლებობის გამო ვერ ახერხებენ ავტორიტეტის მოპოვებას სკოლაში და საზოგადოებაში, ზოგჯერ აღიარებას კრიმინალურ და ასოციალურ გარემოში პოულობენ; აღენიშნებათ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიმართ ლტოლვა. ზრდასრულ ასაკში, ოჯახის შექმნისას, შესაძლოა სერიოზულმა სირთულეებმა იჩინოს თავი.

ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებები ხშირად ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს, რაც ოჯახს ფინანსურად მძიმე ტვირთად აწვება. ფსიქოლოგიური პრობლემები და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის სირთულეები, რომლებიც აღენიშნებათ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, ეკონომიკურ პრობლემას უქმნის მათ ზრდასრულ ასაკში.



როგორ დავიცვათ ბავშვი ძალადობისგან

რა შეიძლება გააკეთოს ამისთვის მშობელმა?

მშობელს და მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე. ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესი წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 18)

იზრუნეთ, რომ ოჯახი ბავშვისთვის სასურველი და საიმედო ადგილი იყოს.

ოჯახი ბავშვისათვის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია. მზრუნველი, მოსიყვარულე ოჯახური გარემო ყველაზე ძლიერი დამცავი მექანიზმია ძალადობის წინააღმდეგ. ბავშვსა და მშობელს შორის უსაფრთხო, სტაბილური ურთიერთობა აძლიერებს ბავშვს, წინ ეღობება ძალადობას და ბავშვისთვის საზიანო სხვა მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება სამუდამო დაღი დაასვან მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

პრობლემურ, რთულ სიტუაციებში ბავშვები ხშირად მარტოობას, შიშს და უმწეობას განიცდიან. ეს განცდები ნაკლებად დამთრგუნველია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ყველა საჭირო შემთხვევაში მშობლების, ოჯახის წევრების მხარდაჭერას გრძნობენ.

რა თქმა უნდა, ყველა მშობელს სურს, რომ ჯანსაღი შვილები ჰყავდეს – ჯანსაღი სხეულით, ჯანსაღი ფსიქიკით, ჯანსაღი ურთიერთობებით. როგორ მივაღწიოთ ამას? პასუხი ერთია: კარგი მშობლობით!

კარგი მშობლობისთვის საჭიროა, რომ ბავშვს პირობები შეუქმნათ:

თავი ოჯახის მნიშვნელოვან წევრად აგრძნობინეთ - გამოუყავით ან თვითონ აარჩევინეთ ადგილი (ოთახი, ოთახის ნაწილი, მაგიდა) სახლში. მიეცით საშუალება, თავისი სურვილისამებრ მოაწყოს იგი. ოჯახური გადაწყვეტილებები ბავშვთან ერთად მიიღეთ. ამით ის იგრძნობს, რომ ოჯახის მნიშვნელოვანი წევრია.

დაინტერესდით ბავშვის საქმიანობით - აჩვენეთ, რომ თქვენთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია, რაც მას უკავშირდება. მეტი დრო გაატარეთ ბავშვთან. ეცადეთ, მონაწილეობა მიიღოთ მის საყვარელ საქმიანობებში. ერთად გააანალიზეთ დღის მოვლენები და შთაბეჭდილებები.

მიეცით „ჯიბის ფული“ - ამის საჭიროება თანატოლებთან ურთიერთობის, თანატოლთა წრეში დამკვიდრების მოთხოვნილებით არის განპირობებული. ჯიბის ფული ბავშვს გარკვეულ დამოუკიდებლობას, ავტონომიურობას სძენს, სიტუაციის კონტროლის განცდას უქმნის. ამასთან, პასუხისმგებლობას მატებს, აქტიურს ხდის. ამიტომ კარგი იქნება, თუ ეცდებით, რომ ბავშვს ჰქონდეს ჯიბის ფული.

მოუსმინეთ ბავშვს - ნუ აიღებთ „ყოვლისმცოდნე მრჩევლის“ როლს. უბრალოდ, ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვს, სერიოზულად მოეკიდეთ მის აზრებს და გრძნობებს. ხმარებიდან ამოიღეთ მიმართვები: „რა სისულეეებზე ფიქრობ!“, „თავი ათასი სისულელით გაქვს გამოტენილი“ და სხვა.

წაახალისეთ ბავშვი - შეაქეთ, როცა რაიმე კარგად გამოუვა და თქვენი სიხარულიც გამოხატეთ. ეცადეთ, თქვენს ურთიერთობაში შექება გაცილებით სჭარბობდეს საყვედურებს.

ასწავლეთ სხვაზე ზრუნვა - დაეხმარეთ, რომ უკეთ შეეძლოს საკუთარი და სხვისი გრძნობების გაგება. ასწავლეთ ბავშვს ზრუნვა, თანაგრძნობა. მიეხმარეთ, რომ სხვა ადამიანებს გაუგოს და მათი დახმარების სურვილი გაუჩნდეს.

ასწავლეთ პასუხისმგებლობა - წაახალისეთ ბავშვი, პასუხისმგებლობა აიღოს თავისი ქცევის შედეგებზე. დაეხმარეთ რეალური მიზნების დასახვაში. ამასთან, არ მოსთხოვოთ იმაზე მეტი, რაც შეუძლია.

ხელი შეუწყვეთ ბავშვის დამოუკიდებელ აზროვნებას - რასაკვირველია, ბავშვმა უნდა ისწავლოს, თუ რა არის კარგი და რა - ცუდი, მაგრამ ყოველთვის მზამზარეულ რეცეპტებს ნუ მიაწვდით. აჯობებს, დაეხმაროთ, თავად აწონ-დაწონოს სიტუაცია და მართებული გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოს. ამით ბავშვს თავდაჯერებულობაც მოემატება და პოზიციასაც ადვილად აღარ დათმობს.

დაიცავით პიროვნების ხელშეუხებლობა - როცა უკმაყოფილებას გამოხატავთ, არ განსაჯოთ თვითონ ბავშვი, მაშინაც კი, როცა მისი საქციელი აუცილებლად გაკიცხვას იმსახურებს. არა - “შენ ცუდი ხარ”, არამედ “შენ ცუდად მოიქეცი”; არა - “შენ სასტიკი ხარ”, არამედ “სისასტიკე ჩაიდინე; არა - “ხარ ზარმაცი, მატყუარა“, არამედ “სიზარმაცე გამოიჩინე, ტყუილი თქვი“ და სხვა. ბავშვს აუცილებლად უნდა ესმოდეს, რომ თვითონ ის ძველებურად უყვართ, მაგრამ მისი ზოგიერთი საქციელი მიუღებელია და აუცილებლად უნდა გამოასწოროს. ამასთან, თავი შეიკავეთ ბავშვის კრიტიკისგან სხვების თანდასწრებით.

დაეხმარეთ სტრესულ სიტუაციებში - დაამშვიდეთ და გაამხნევეთ ბავშვი სტრესულ სიტუაციებში. დამამშვიდებელი სიტყვებით და ქცევით დაეხმარეთ ბავშვს გრძნობების, განსაკუთრებით უარყოფითი ემოციებისა და იმპულსების მართვაში. ბავშვის შეცდომებისა და წარუმატებლობის შემთხვევაში არ მოაკლოთ მას სიყვარული და თანაგრძნობა.

აღიარეთ თქვენი შეცდომები - ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ზოგჯერ თქვენც ცდებით, მაგრამ საკუთარ შეცდომებზე სწავლობთ. ამიტომ გულწრფელად აღიარეთ ბავშვთან თქვენი შეცდომები. ნუ შეგეშინდებათ, რომ ამით ბავშვის თვალში ავტორიტეტი მოგაკლდებათ. პირიქით, მოგემატებათ!

გამოხატეთ სიყვარული - სიტყვებით და ფიზიკურად ხშირად გამოხატეთ შვილისადმი სიყვარული. ოღონდ თქვენი სიყვარულით ბავშვი არ შეზღუდოთ.

თუ ბავშვი გრძნობს, რომ ოჯახში ის უყვართ, მასზე ზრუნავენ, მას ამხნევებენ და ეხმარებიან, მის აზრს ითვალისწინებენ, მაშინ იგი რთულ სიტუაციებთან, პრობლემებთან დამოუკიდებლად გამკლავებასაც ისწავლის და თავადაც არასოდეს იქცევა „პრობლემად“ არც მშობლისთვის, არც საზოგადოებისთვის. ის თავისუფალ, ღირსეულ ადამიანად გაიზრდება, რომელიც პატივს სცემს სხვის უფლებებს და თავისუფლებებს.

ესაუბრეთ ბავშვს მისი უფლებების შესახებ

უპირველესად, უნდა გახსოვდეთ, რომ ბავშვს აქვს უფლებები, რომლებსაც კანონი იცავს! ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან. თქვენი, როგორც მშობლის მოვალეობაა, იზრუნოთ ბავშვისთვის კანონით მინიჭებული ამ უფლების დასაცავად.

აუხსენით ბავშვს, რომ ყველა ბავშვს გააჩნია უფლებები, მაგალითად, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, რომლის წართმევა დაუშვებელია. ბავშვს ასევე კანონით აქვს მინიჭებული ისეთი უფლებები, როგორიცაა: ხელშეუხებლობის უფლება, საკუთარი ღირსების დაცვის უფლება, საკუთარი გრძნობების აღიარების უფლება, “არა”-ს თქმის უფლება, უსიამოვნო, შემაშფოთებელი მოვლენის შესახებ ახლობელი ადამიანისთვის თქმის უფლება, დახმარების მიღების უფლება და სხვა.

ყველა ბავშვის უფლებაა:

დაიცვას საკუთარი სხეული.
ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მისი სხეული მხოლოდ მას ეკუთვნის, განსაკუთრებით ის ადგილები, რომლებსაც საცვალი ფარავს და რომელთა ჩვენება მიუღებელია.

თქვას „არა“
ბავშვების უმრავლესობას ასწავლიან, რომ უსიტყვოდ დაემორჩილოს მოზრდილს. ეს სახიფათოა. აუხსენით ბავშვს, რომ მას უფლება აქვს უთხრას „არა“ ნებისმიერ ადამიანს, თუ ფიქრობს, რომ ამ ადამიანმა შეიძლება მას ზიანი მიაყენოს ან თუკი მასთან თავს დაძაბულად, არაუსაფრთხოდ გრძნობს.

მოუყვეს.
აუხსენით ბავშვს, რომ იმის მიუხედავად, თუ კონკრეტულად რა მოხდა, თქვენ მას არ გაუბრაზდებით და გინდათ, რომ მან გიამბოთ ნებისმიერი შემთხვევის შესახებ. ბავშვს ასევე შეიძლება მშობლის „დაზოგვა“ სურდეს და ამიტომ არ უამბოს მას შემაშფოთებელი, სანერვიულო დეტალების შესახებ.

ენდოს.
როცა ბავშვს ეუბნებიან, რომ მას შეუძლია დახმარებისთვის მოზრდილს მიმართოს, ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მას დაუჯერებენ და მხარში ამოუდგებიან. ზოგჯერ მშობელი დახმარებისთვის მასთან მისულ შვილს ეუბნება: „ხომ გეუბნებოდი!“, „რამდენჯერ გაგაფრთხილე!“. ეს ბავშვს პრობლემასთან გამკლავებაში არ დაეხმარება. მეორედ, შეიძლება, მან უბრალოდ აღარაფერი თქვას. ეს განსაკუთრებით შეეხება ბავშვზე სექსუალურ ძალადობას, ვინაიდან ბავშვები ძალზე იშვიათად ტყუიან ასეთ შემთხვევებში. თუ ბავშვის მონათხრობს არ იჯერებენ, შეურაცხყოფის გრძნობა მას შეიძლება მრავალი წლის მანძილზე გაჰყვეს და საკუთარი დანაშაულის გრძნობა გაუჩნდეს.

გაამხილოს საიდუმლო.
მოძალადეები ხშირად ეუბნებიან ბავშვებს, რომ კოცნა ან შეხება მათი „საიდუმლო იყოს“. ბავშვმა, რომელსაც ასწავლიან, რომ „საიდუმლოს შენახვა კარგი საქციელია“, შეიძლება არ გაამხილოს მასზე განხორციელებული ძალადობრივი ქცევის შესახებ. აუხსენით შვილებს, რომ ზოგიერთი რამ აუცილებლად ყოველთვის უნდა გაამხილონ და არასდროს შეინახონ საიდუმლოდ.

აღკვეთოს არაუსაფრთხო შეხება.
აუხსენით ბავშვს, რომ მას შეუძლია თქვას „არა“ ან დათანხმდეს, როდესაც ვინმეს სურს, რომ აკოცოს ან მოეფეროს. ოღონდ, არავინ უნდა მოითხოვოს მისგან ამ შეხებების საიდუმლოდ შენახვა. ბავშვებს ხშირად არ მოსწონთ, როცა მათ კოცნიან ან ეფერებიან, მაგრამ ეს შერჩევის პრინციპით უნდა გადაწყვიტოს ბავშვმა და არა - შიშის. დაუშვებელია ბავშვისთვის კოცნის ან მოფერების იძულება.

უხმოს მშველელს.
ასწავლეთ ბავშვს, როგორ მოიქცეს, თუკი საფრთხეს იგრძნობს. მას შეუძლია დაიყვიროს „მიშველეთ“, იკივლოს, გაიქცეს, შევიდეს ახლომდებარე რომელიმე დაწესებულებაში, მაგალითად, აფთიაქში, მაღაზიაში, მიირბინოს პოლიციელთან, ტელეფონზე აკრიფოს 112 და ითხოვოს დახმარება.

აუხსენით თქვენს შვილს, რომ ძალადობის შემთხვევაში, ნებისმიერ ბავშვს შეუძლია დარეკოს ბავშვთა დახმარების ხაზზე 116 111, ასევე - მიმართოს პოლიციას და ბავშვთა დაცვის დაწესებულებებს.

იზრუნეთ შვილის უსაფრთხოებაზე

არაფერია ადამიანის სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი, ხოლო ბავშვების სიცოცხლე - ყველაზე ღირებულია. ბავშვები ბუნებით უდარდელნი და მიმნდობნი არიან. მათ ყურადღება ადვილად ეფანტებათ და შეიძლება ვერ შეამჩნიონ შესაძლო საფრთხე. შვილის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე ზრუნვა მშობლის უმთავრესი მოვალეობაა.

საფრთხის არიდება შესაძლებელია! ამისთვის საჭიროა, რომ თქვენმა შვილებმა სიტუაციის სწორად შეფასება და მართებული გადაწყვეტილებების მიღება ისწავლონ. ეს კი მხოლოდ თქვენი მუდმივი მხარდაჭერით, განმარტებებით, შეხსენებებით არის შესაძლებელი.

ბავშვის სიცოცხლის დასაცავად ბავშვებმაც და მშობლებმაც უნდა იცოდნენ მარტივი, მაგრამ ძალიან სასარგებლო წესები, რომლებიც დაგეხმარებათ ბავშვებისთვის სახიფათო სიტუაციების არიდებაში.

დაარწმუნეთ თქვენი შვილი იმაში, რომ:

- როცა სახლში მარტოა, კარი არავის გაუღოს, გამონაკლის შემთხვევაში - თქვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. არასდროს შეუშვას სახლში უცნობი ადამიანი. აუხსენით ბავშვს, რომ ჩვენთვის უცნობი ადამიანები შეიძლება სხვადასხვაგვარად მოიქცნენ და ჩვენ წინასწარ არ ვიცით, კეთილი თუ ბოროტი განზრახვები აქვთ მათ. ამიტომ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობისას აუცილებელია სიფრთხილის დაცვა. გააგებინეთ, რომ მოძალადეები გარეგნულად ჩვეულებრივად გამოიყურებიან და ნებისმიერ მოძალადეს შეუძლია ბავშვს თავი კეთილ და სანდო ადამიანად მოაჩვენოს.

- არ გამოელაპარაკოს ქუჩაში უცნობ ადამიანს. განუმარტეთ, რას ნიშნავს „სახიფათო უცნობი“. ეს არის ადამიანი, რომელმაც შეიძლება ბავშვის მოტყუება სცადოს ან აიძულოს, რომ ცუდი რამეები გააკეთოს. ასეთმა ადამიანმა შეიძლება ბავშვი მიიტყუოს საჩუქრის ან ფულის შეთავაზებით, დახმარების თხოვნით (მაგალითად, მოაძებნინოს რომელიმე ქუჩა ან დაკარგული ლეკვი) ასეთი შემთხვევების შესახებ ბავშვმა აუცილებლად უნდა უთხრას მშობლებს;

- სკოლიდან სახლში დაბრუნებისას, არ იაროს მარტო ან თანატოლებთან ერთად მათთვის უცნობ ქუჩებში, პარკებში, სკვერებში, განსაკუთრებით - შებინდებისას. ასევე მოერიდოს შედარებით უკაცრიელ ადგილებს. სტატისტიკურად, ბავშვებზე თავდასხმები სწორედ ასეთ ადგილებში ხდება. დაეხმარეთ ბავშვს მარშრუტის ისე დაგეგმვაში, რომ მას არ მოუხდეს პოტენციურად სახიფათო ადგილების გავლა.

- თუ ბავშვი უცნობისგან საფრთხეს გრძნობს, მან ხმამაღლა უნდა თქვას „არა“, უხმოს მშველელს, სწრაფად გაეცალოს. შემდეგ კი მან აუცილებლად უნდა გიამბოთ იმის შესახებ, რაც თავს გადახდა.

- ქუჩაში, ეზოებში, სადარბაზოებთან უსაფრთხო დისტანცია დაიჭიროს, თუკი საეჭვო ადამიანებს შენიშნავს, არ შეჩერდეს და რეაგირება არ მოახდინოს მათ პროვოკაციებზე.

- არავის აქვს ბავშვის პირად/ინტიმურ ადგილებზე შეხების უფლება. თუ ვინმე შეეცდება ინტიმურ ადგილებზე შეეხოს, ბავშვმა ხმამაღლა და მტკიცედ უნდა უთხრას მას "არა" და გაერიდოს. თუ ასეთი რამ მოხდება, მან ყოველთვის უნდა გიამბოთ ამის შესახებ.

- ინტერნეტსივრცეში აუცილებლად დაიცვას უსაფრთხო ქცევის წესები: უცხოს არავის მისცეს პირადი ინფორმაცია - სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, სკოლის ნომერი, არავითარ შემთხვევაში არ შეხვდეს ინტერნეტით გაცნობილ ადამიანს. დაარწმუნეთ ბავშვი, რომ მისთვის უსიამოვნო, უცნაური, გაუგებარი შეთავაზებებისა და წინადადებების შემთხვევაში, აუცილებლად გითხრათ ამის შესახებ.

- სახლიდან გასვლისას ყოველთვის შეგატყობინოთ, სად და ვისთან ერთად მიდის, როგორ დაუკავშირდებით საჭიროების შემთხვევაში და სახლში როდის დაბრუნდება.

შეგიძლიათ უსაფრთხოების წესები ამობეჭდოთ და სახლში გამოსაჩენ ადგილას გააკრათ. ეს დაეხმარება თქვენს შვილს, დაიხსომოს და არ დაივიწყოს ისინი.

გაითვალისწინეთ რომ ბავშვზე მოძალადე შეიძლება იყოს მისთვის კარგად ნაცნობი ადამიანი, მათ შორის, ოჯახის წევრი. როცა მოძალადე ბავშვისთვის კარგად ნაცნობი ადამიანია ან როცა ძალადობა ოჯახში ხდება, როგორც წესი, ის შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს და მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდება, როდესაც ბავშვი უკიდურეს ზომებს მიმართავს: სახლიდან გარბის, თვითმკვლელობის მცდელობა აქვს. ბავშვი, ჩვეულებრივ მალავს ამ მძიმე ფაქტებს, რადგან თავს იდანაშაულებს და შიშობს, რომ მას არ დაუჯერებენ. ამას გარდა, ხშირად მოძალადე ემუქრება ბავშვს და აიძულებს, საიდუმლოდ შეინახოს მომხდარი. მოძალადე არწმუნებს ბავშვს, ის აღარავის ეყვარება, თუკი ვინმე გაიგებს მათი ურთიერთობის შესახებ. ამიტომ ამგვარი ძალადობები, როგორც წესი, არაერთხელ მეორდება.

მშობლებმა კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენი ქცევის სტილი შვილებს გადაეცემა, რომლებიც, როცა გაიზრდებიან, საკუთარ შვილებზე მოახდენენ ზემოქმედებას. ამგვარად, ძალადობის ტალღა თაობიდან თაობაზე გადადის. თუნდაც ამიტომ არ არის ოჯახში ბავშვზე ძალადობის პრობლემა მხოლოდ ერთეულების ან მხოლოდ მისი ოჯახის საქმე. აქედან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის ფაქტების დამალვით საფრთხე ექმნება ოჯახის ყველა წევრის (განსაკუთრებით ბავშვების) ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, მათ შემდგომ ცხოვრებას. პირველ რიგში, აუცილებელია გახსოვდეთ, რომ მსგავს შემთხვევებში კომპეტენტური დახმარების გაწევა შეუძლიათ ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალებს.

კიდევ რა ვასწავლოთ

- ასწავლეთ ბავშვს ოჯახის წევრების და თქვენთვის სანდო ადამიანების ტელეფონის ნომრები და მისამართი, რათა მათი გამოყენება შეძლოს საჭიროებისამებრ, მაგალითად, საფრთხის შემჩნევის ან დაკარგვის შემთხვევაში.

- ესაუბრეთ თქვენს შვილს ბავშვთა დაცვის სხვადასხვა სამსახურების შესახებ, ვის და როგორ შეიძლება დაუკავშირდეს სახიფათო სიტუაციაში.

- მოუყევით ბავშვს, რას წარმოადგენს ინტერნეტ-სივრცე, რით არის სასარგებლო, საინტერესო და რა საფრთხეებს შეიძლება გადააწყდეს ბავშვი ინტერნეტში. თუ გესაჭიროებათ, გამოყავით დრო, რომ ინტერნეტს გაეცნოთ. რაც უფრო მეტი გეცოდინებათ ინტერნეტის შესახებ, მით უკეთეს არჩევანს გააკეთებთ თქვენი ბავშვებისათვის.

- ბავშვს უნდა შეეძლოს საკუთარი ბრაზის მართვა. აუხსენით ბავშვს, რომ რთულ სიტუაციებში უმართავმა ბრაზმა შეიძლება მას საკუთარი ქცევის კონტროლის უნარი დააკარგვინოს. ამიტომ წინასწარ რამდენჯერმე შეასრულეთ ბავშვთან ერთად მარტივი სავარჯიშოები ბრაზის მართვაზე: სამჯერ ღრმად ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა, გულში ნელა დათვლა 10-მდე და უკან; დამამშვიდებელი საუბარი საკუთარ თავთან: „დაწყნარდი“, „მე ბრაზს მოვერევი“, „მე ეს გამომივა“.

- რეაგირების გარეშე არ დატოვოთ და ყოველთვის ბავშვთან ერთად განიხილეთ სიტუაციები, რომლებშიც ის თვითონ გამოიჩენს აგრესიულობას, იმპულსურობას, ან შეეცდება სასურველის მოპოვებას ნებისმიერი გზით, მაგალითად, ნივთების წართმევით, დამცირებით, მუქარით, ძალის გამოყენებით და სხვა. მშვიდად, მეგობრულად, მაგრამ კატეგორიულად უთხარით, რომ თქვენთვის მიუღებელია ძალადობის ნებისმიერი ფორმა, იმის მიუხედავად, თუ ვისზეა ის მიმართული.

- ბავშვთან ერთად შექმენით სიტუაციათა მოდელები, რომლებიც იმ სიტუაციათა მსგავსი იქნება, სადაც ბავშვმა ბრაზი და აგრესია გამოავლინა. მოახდინეთ პრობლემის გადაჭრის და სასურველი მიზნის მიღწევის სხვა გზების დემონსტრირება, გარემომცველთა მიმართ მენტალური (მუქარა, შეურაცხყოფა) ან ფიზიკური ძალადობის გარეშე.

როგორ ვასწავლოთ სწორად

ყველა მშობელმა იცის: რაც არ უნდა მონდომებით დავიცვათ ბავშვი, რაც არ უნდა გადავეფაროთ მას და რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ მისი უსაფრთხოებისთვის, ადრე თუ გვიან დადგება დრო, როდესაც მას მოუწევს სკოლაში მარტოს, მშობლის გარეშე სიარული, სახლში მარტო დარჩენა. ცხადია, ამ დროისთვის ყოველმა ბავშვმა უნდა იცოდეს უსაფრთხოების აუცილებელი წესები. ჩვეულებრივ, იციან კიდეც. სამწუხაროდ, - მხოლოდ თეორიულად.

ბავშვმა თეორიულად შეიძლება მშვენივრად იცოდეს, რა არის საფრთხე და როგორ უნდა მოიქცეს საფრთხის შემთხვევაში, მაგრამ რეალურ სიტუაციებში ამ ცოდნას ბავშვი ნაკლებად იყენებს. რატომ? იმიტომ, რომ ბავშვი ასეა „მოწყობილი“: როდესაც რაიმე საინტერესო, ახალი, უჩვეულო ჩნდება, ბავშვი ადვილად ჰყვება ცდუნებას ან სულაც - იბნევა.

რასაც არ უნდა ვასწავლიდეთ ბავშვს, მხოლოდ თქმა (თუნდაც ასჯერ გამეორება) ცოტაა! სწავლების სხვაგვარი ტაქტიკა უნდა ავირჩიოთ - ჩვენი შვილების აზროვნების თავისებურებების და ინტერესების გათვალისწინებით. უსაფრთხოების ნებისმიერი წესი კი არ უნდა გავაცნოთ მხოლოდ, არამედ, რაც მთავარია, - განვამტკიცებინოთ, ყოველდღიურობაში გადავატანინოთ. ეს წესები ბავშვს იმდენად მყარად უნდა „ჩაუჯდეს თავში“, რომ საჭირო მომენტში ავტომატურად იმოქმედონ, შეიძლება ითქვას - რეფლექსების დონეზე!

როგორ მივაღწიოთ ამას?

- ***გაუმეორეთ და განამტკიცეთ*** - ყოველდღიურად შეახსენეთ ბავშვს უსაფრთხო ქცევის წესები. ამისთვის ისარგებლეთ შესატყვისი სიტუაციებით: სახლში, სკოლაში, ქუჩაში. აუხსენით ბავშვს ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება, განუმარტეთ, რატომ უნდა მოიქცეს ასე და არა სხვაგვარად. რაც უფრო ხშირად შეახსენებთ თქვენს შვილს უსაფრთხო ქცევის წესებს, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ის მათ დაიხსომებს და გამოიყენებს. ბავშვს უნდა შეეძლოს თქვას მტკიცე „არა“, დაიყვიროს, გაიქცეს, მიმართოს ვინმეს დახმარებისთვის. რთულ სიტუაციებში ბევრი ბავშვი იბნევა, ბევრს რცხვენია. ეს რომ არ მოხდეს, წინასწარ გაივარჯიშეთ ბავშვთან ერთად. თამაშებით ჩართეთ ბავშვი აქტიურ ქმედებებში. „ვინ უფრო ხმამაღლა დაიყვირებს“, „როგორ გავექცეთ ბოროტს“, „მოიძიე დამხმარე“ - მნიშვნელოვანი არაა, რას დაარქმევთ მსგავს თამაშებს. მთავარია, საჭირო უნარების გამომუშავება, მათი ავტომატიზმამდე დაყვანა.

- ***ასწავლეთ სხვადასხვა საშუალებებით*** - მაგალითად, თქვენ საუბრობთ თემაზე „რატომ არ შეიძლება ეზოდან გასვლა... უცნობ ადამიანებთან საუბარი“ ან „როგორ მოვიქცეთ, თუ სახლში მარტო ყოფნისას ვიღაც კარის გაღებას გვთხოვს“, ან „როგორ დავრეკოთ ბავშვთა დახმარების ხაზზე... პოლიციაში“. ბავშვთან ერთად გაითამაშეთ სიტუაცია, იმსჯელეთ რომელიმე ფილმში შესაბამისი სცენის შესახებ, დახატეთ, მოიგონეთ ლექსი, გააფორმეთ პლაკატი და გამოსაჩენ ადგილზე გააკარით, მოაწყვეთ შეჯიბრი... აუცილებლად შეამოწმეთ, როგორ იყენებს ბავშვი დასწავლილს პრაქტიკაში.

- ***წესები თავადაც დაიცავით*** - ბავშვები მიბაძვით სწავლობენ. ამიტომ, თუ გსურთ, რომ ბავშვმა უსაფრთხოების წესები გაითავისოს, უპირველეს ყოვლისა, თქვენ თავად უნდა დაიცვათ ეს წესები. თქვენი საქციელით აჩვენეთ შვილს სიფრთხილის, წინდახედულების მაგალითები. რა თქმა უნდა, არა - გამუდმებით, არამედ შესაფერ მომენტში: „ახლა ადრე ბნელდება, ამიტომ

სკვერის გავლით კი არ წავიდეთ, არამედ განათებულ ტროტუარზე ვიაროთ". თითქოს შემთხვევით ნათქვამი ფრაზაა, მაგრამ... შემთხვევიდან შემთხვევამდე... შემთხვევიდან შემთხვევამდე... და ბავშვიც გაითავისებს.

- ***აუხსენით და წაახალისეთ, რომ ბავშვმა შეკითხვები დაგისვათ*** - შეეცადეთ, ხშირად გაუკეთოთ კომენტარი თქვენს იმ ქცევებს, რომლებიც უსაფრთხოებას შეეხება. მაგალითად, ქუჩაში შვილთან ერთად ყოფნისას სეტყვა წამოვიდა. იმაზე ფიქრისას, სად შეაფაროთ თავი, შეგიძლიათ ხმამაღლა იმსჯელოთ: „მოდი, ამ სადარბაზოში ნუ შევალთ - შიგნით ბნელა და თან უცხო სადარბაზოა... იმ მაღაზიამდე მივირბინოთ... იქ ბევრი ხალხია". კიდევ უკეთესია, თუ ბავშვს კითხვების დასასმელად წავახალისებთ. ეს კარგი ნიშანია, რადგან ნიშნავს, რომ მისთვის საინტერესოა და ახალი ინფორმაცია მეხსიერებაში კვალს დატოვებს.

- ***არ გააკრიტიკოთ და არ დაემუქროთ*** - შვილი უნდა გენდობოდეთ და მხოლოდ მაშინ შეძლებთ, გაიგოთ მისგან მომხდარი მოვლენების, შექმნილი სიტუაციების შესახებ, მხოლოდ მაშინ მოახერხებთ საჭიროების შემთხვევაში ჩარევას, დახმარებას. რაც უფრო ხშირად განვსჯით, გავაკრიტიკებთ ბავშვს, ის მით უფრო მეტად ჩაიკეტება, არ გვეტყვის სიმართლეს. კი არ უნდა განვსაჯოთ, არამედ შვილთან ერთად უნდა ვიმსჯელოთ, გავაანალიზოთ სიტუაცია. „კარგი, შენ უცნობ ადამიანს შოკოლადი გამოართვი. მოდი, ვიფიქროთ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო..." მოუყვანეთ მაგალითები ცხოვრებიდან, წიგნებიდან, ტელევიზიიდან, ინტერნეტიდან... ეს უკვე მორალის კითხვა და ჭკუის სწავლება კი არ იქნება, არამედ დასაბუთებული განმარტება.

მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ: აკრძალვა სტიმულს მისცემს ბავშვს, რომ მოსინჯოს თქვენი არყოფნისას ის, რასაც უკრძალავთ. ამიტომ ბავშვს უსაფრთხოების შესახებ დამაჯერებლად, დაშინებისა და მუქარის გარეშე უნდა ესაუბროთ.

კიდევ რის გაკეთება შეგიძლიათ

- განუვითარეთ ბავშვს ჩვევა, - მოგიყვეთ არა მხოლოდ მისი მიღწევების შესახებ, არამედ გულახდილად გესაუბროთ იმის შესახებ, რაც აწუხებს, აშფოთებს, აშინებს, ეჭვს უჩენს.

- შვილთან ერთად მოიფიქრეთ საფრთხის შეტყობინებისთვის საიდუმლო სიტყვა. მაგალითად, თუ ბავშვი დაგირეკავთ და ამ სიტყვას გეტყვით, თქვენ გეცოდინებათ, რომ ის საფრთხეშია და დახმარებას საჭიროებს.

- თუკი თქვენი რომელიმე ნაცნობი ან მეგობარი თქვენს გარკვეულ დაეჭვებას იწვევს ბავშვთან მიმართებაში, შეამოწმეთ თქვენი ეჭვები და შეწყვიტეთ ურთიერთობა ამ ადამიანთან, მიმართეთ დახმარებისთვის შესაბამის ორგანიზაციებს.

- შეეცადეთ, უპასუხოდ არ დატოვოთ ბავშვის შეკითხვები ადამიანის ფიზიოლოგიის სხვადასხვა საკითხებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ კითხვებზე პასუხების ძებნას ბავშვი სხვებთან და სხვაგან შეეცდება.

- ნუ იქნებით ბავშვის მიმართ ირონიულები, თუკი გარკვეულ სიტუაციაში ის ფიზიკურ სისუსტეს ან სიმხდალეს გამოიჩენს. დაეხმარეთ მას შექმნილი პრობლემის მოსაგვარებლად შესაძლო გზების დანახვაში.

- უყურადღებოდ არ დატოვოთ და ყოველთვის გააანალიზეთ ბავშვთან ერთად თითოეული რთული სიტუაცია. საშუალება მიეცით შვილს, თავიდან ბოლომდე, ამომწურავად გესაუბროთ ყველაზე რთული სიტუაციის შესახებ. ეს ბავშვს დაეხმარება ეჭვებისგან და დანაშაულის გრძნობისგან გათავისუფლებაში.

- აქცენტი გააკეთეთ იმაზე, როგორ უნდა მოიქცეს ბავშვი, რომ საფრთხე არ შეექმნას, და არა იმაზე, თუ რა მოხდება, თუკი ბავშვი თავის დაცვას ვერ შეძლებს. ბავშვები აწმყოში, „აქ და ახლა“ ცხოვრობენ. ჩვენ მიერ გონივრულად შერჩეული ტაქტიკა მათ დაეხმარება მიზეზის დანახვაში (რა არის სწორი და რა - არასწორი) და დააფიქრებს შედეგებზე.

- საჭიროების შემთხვევაში, მიმართეთ ფსიქოლოგს, რომელიც დაგეხმარებათ შვილის ძლიერი მხარეების მოძიებასა და წარმოჩენაში, ბავშვის პრობლემური ქცევის მიზეზების გარკვევაში, აგრეთვე ამ პრობლემების მართვისა და რეგულირების სხვადასხვა ხერხის ათვისებაში.

რასაკვირველია, შეუძლებელია ყველაფრის წინასწარ გათვლა და ძალადობისგან ბავშვის დაცვის სრული უზრუნველყოფა. თუმცა, მშობლის მოვალეობაა სახიფათო სიტუაციების შესახებ საუბარი და ბავშვისთვის იმის ახსნა, თუ რატომ შეიძლება ამგვარი სიტუაციები შეიქმნას. შეუძლებელია, ბავშვს სამყაროს შეცნობა ავუკრძალოთ. ჩვენი, მოზრდილების, კერძოდ კი მშობლების ამოცანაა, დავიცვათ ბავშვი, ავარიდოთ საფრთხე, მის გვერდით ვიყოთ, როცა ვჭირდებით, ვასწავლოთ უსაფრთხო ქცევა.

კარგ ადამიანად შემთხვევით არავინ ყალიბდება!


- თუ ბავშვს ხშირად ადანაშაულებენ, ის სხვის დადანაშაულებას სწავლობს;
- თუ ბავშვი მტრულ დამოკიდებულებას გრძნობს, ის ჩხუბს სწავლობს;
- თუ ბავშვს აშინებენ, ის შიშში ცხოვრებას სწავლობს;
- თუ ბავშვი ეცოდებათ, ის უმწეობას სწავლობს;
- თუ ბავშვს დასცინიან, ის გაუბედაობას სწავლობს;
- თუ ბავშვს გამუდმებით აკრიტიკებენ, ის დანაშაულის გრძნობით ცხოვრებას სწავლობს.

ხოლო:

- თუ ბავშვს ამხნევებენ, ის თავდაჯერებულობას სწავლობს;
- თუ ბავშვს აქებენ, ის სხვის დაფასებას სწავლობს;
- თუ ბავშვთან გულწრფელნი არიან, ის სიმართლის თქმას სწავლობს;
- თუ ბავშვის შეცდომების მიმართ მოთმინებას იჩენენ, ის სხვების გაგებას სწავლობს;
- თუ ბავშვს ენდობიან, ის სხვა ადამიანების ნდობას სწავლობს;
- თუ ბავშვს აღიარებენ, ის კეთილშობილებას და გულუხვობას სწავლობს;
- თუ ბავშვი ისეთი უყვართ, როგორიც არის, მაშინ ის სამყაროში სიყვარულის დანახვას სწავლობს.

ამიტომ:

- გაამხნევეთ...
- შეაქეთ...
- იყავით გულწრფელი...
- მოთმინება გამოიჩინეთ...
- ენდეთ...
- აღიარეთ...
- გიყვარდეთ...



გვჯერა, თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისთვის, რომ თქვენს შვილს და ყველა სხვა ბავშვს მშვიდობიანი, უსაფრთხო, ბედნიერი ბავშვობა ჰქონდეს!

თუ თქვენ:

მიიჩნევთ,
რომ შვილის მშვიდ, კეთილგანწყობილ, არაძალადობრივ გარემოში აღზრდა თქვენი უმთავრესი მოვალეობაა...

იცით,
რომ არასდროს შეურიგდებით ძალადობრივ ქმედებებს როგორც საკუთარი შვილის, ასევე სხვა ბავშვების მიმართ...

ისურვებდით,
რომ არც თქვენი შვილი და არც სხვა ბავშვები არასდროს გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი...

მზად ხართ,
სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობით, ყველაფერი გააკეთოთ ბავშვზე ძალადობის შესაჩერებლად და მოძალადის დასასჯელად...

ღელავთ
ბავშვის მდგომარეობის გამო...

შეგიძლიათ მოგვმართოთ:

☎ ***116 111 ბავშვთა დახმარების ხაზი***



საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ძალადობისგან ბავშვთა დაცვას საქართველოში. ფონდს სწამს, რომ ბავშვს აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი, წუხილი, მიიღოს დახმარება, თუნდაც უფროსების ჩარევის გარეშე.

ბავშვებს და უფროსებს, რომლებსაც ბავშვის ბედი აწუხებთ, შეუძლიათ დაგვირეკონ:

ბავშვთა დახმარების ხაზი ☎ ***116 111***



მისამართი:
ქ. თბილისი, ედიშერ მაღალაშვილის ქუჩა №4, ბინა №1
ტელ: (995 32) 2 421 422
ტელ/ფაქსი: (995 32) 2 421 422

ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა №47
ტელ: (995 422) 225830

ელ. ფოსტა: info@phmdf.ge
ვებ.გვერდი: www. phf.org.ge
ფეისბუკი: https://www.facebook.com/PublicHealthFoundationofGeorgia